შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 08.02.2024

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Microsoft Teams -ის გამოყენებით 2024 წლის 8 თებერვალს, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულების მე-10, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად.

სხდომას ესწრებოდნენ

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

- ეკა ლუაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე);
- შალვა კვინიხიძე (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი);
- ავთანდილ გაგნიძე (ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი);
- მარინე ჩაგელიშვილი-ურუმაშვილი (განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი);
- ზურაბ ჯანხოთელი (ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტი);
- ლელა გოგინავა (განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი);
- სალომე ზაალიშვილი (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი);
- ანიშა შანკარ ჰინგანეს (ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი);
- ანი კოსტავა (საბჭოს მდივანი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი).

კვორუმი შედგა. სხდომა გადაწყვეტილებისუნარიანია.

მოწვეული პირები:

- ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
- განათლების დეპარტამენტის უფროსი;
- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
- იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. 2024-2025 სასწავლო წლის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
2. 2024-2025 სასწავლო წლის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მაგისტრატურის გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
3. 2024-2025 სასწავლო წლის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მაგისტრატურის გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
4. 2024-2025 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;

გადაწყვეტილება:

წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა შესაბამისი ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- დამტკიცდა 2024–2025 სასწავლო წლისთვის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მისაღები გამოცდების კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარი;
- დამტკიცდა 2024–2025 სასწავლო წლისთვის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მისაღები გამოცდების კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარი;
- დამტკიცდა 2024–2025 სასწავლო წლისთვის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მისაღები გამოცდების კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარი;
- დამტკიცდა 2024–2025 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
მოწინააღმდეგე – 0

საბჭოს თავმჯდომარე
ეკა ლუაშვილი

საბჭოს მდივანი
ანი კოსტავა